საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 06-01/36

ქ. ბათუმი 20 აპრილი, 2021 წ.

,,ბსუ-ში დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან (ინგლისურენოვან) საგანმანათლებლო პროგრამაზე 2020-2021 სასწავლო წლის ორგანიზებულად წარმართვის შესახებ'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 09 სექტემბრის N06-01/59 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის, ,,ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო (ინგლისურენოვან) პროგრამაზე მე-8 ნაკადზე ჩარიცხულ სტუდენტთათვის 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის აკადემიური კალენდარისა და საორგანიზაციო ღონისძიებების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 01 თებერვლის N01-02/13 ბრძანების (ცვლილება 2021 წლის 2 მარტის N01-02/38 ბრძანების), ,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების მიერ სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ'' საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 24 თებერვლის MES 1 21 0000159323 ბრძანების, ,,უქმე დღეების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 16 აპრილის N175 დადგენილების საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ,,ბსუ-ში დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან (ინგლისურენოვან) საგანმანათლებლო პროგრამაზე 2020-2021 სასწავლო წლის ორგანიზებულად წარმართვის შესახებ'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 09 სექტემბრის N06-01/59 დადგენილებაში შევიდეს ცვლილებები, კერძოდ:

ა) პირველი პუნქტის ,,დ“, ,,ე“ , ,,ვ“ და ,,ზ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,დ) გაზაფხულის სემესტრის აკადემიური რეგისტრაცია/აკადემიურ რეგისტრაციაში ცვლილებების შეტანა - 2021 წლის 22 მარტიდან 19 აპრილის ჩათვლით (2021 წლის

აპრილის რეისით საქართველოში ჩამოსული ბსუ-ს სტუდენტებისათვის - 29 აპრილის ჩათვლით);

ე) გაზაფხულის სემესტრის სასწავლო პროცესი (ლექციები/ჯგუფში მუშაობა/სემინარები/კლინიკური/ლაბორატორიული სამუშაო) დაიწყოს 2021 წლის 19 აპრილს და დასრულდეს 2021 წლის 14 აგვისტოს;

ვ) გაზაფხულის სემესტრის ძირითადი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2021 წლის 16 აგვისტოდან 4 სექტემბრის ჩათვლით, ხოლო დამატებითი საგამოცდო სესია - 2021 წლის 6 სექტემბრიდან 11 სექტემბრის ჩათვლით;

ზ) 2020-2021 სასწავლო წლის კურსდამთავრებულთათვის კვალიფიკაციის მინიჭება განხორციელდეს 2021 წლის 13 სექტემბრიდან 20 სექტემბრის ჩათვლით. სტუდენტების მიერ ,,დიპლომირებული მედიკოსის“ ინგლისურენოვანი პროგრამის მოთხოვნების (სულ 360 კრედიტის) 12 სემესტრზე ნაკლებ ვადაში შესრულების შემთხვევაში, კვალიფიკაციის მინიჭება განხორციელდეს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით მიღებული ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილების საფუძველზე.“;

ბ) დადგენილების 1[1] პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1[1]. ბსუ-ს დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან (ინგლისურენოვან) საგანმანათლებლო პროგრამაზე **2021 წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ჩარიცხული სტუდენტებისათვის** (შემდეგში - ,,**VIII ნაკადზე**“ ჩარიცხული პირები) წარიმართოს შემდეგი განრიგით:

,,ა) გაზაფხულის სემესტრის აკადემიური რეგისტრაცია - 2021 წლის 19 აპრილის ჩათვლით (აპრილის ჩარტერული რეისით საქართველოში ჩამოსული ბსუ-ს სტუდენტებისათვის - 29 აპრილის ჩათვლით);

ბ) გაზაფხულის სემესტრის სასწავლო პროცესი (ლექციები/ჯგუფში მუშაობა/სემინარები/კლინიკური/ლაბორატორიული სამუშაო) დაიწყოს 2021 წლის 19 აპრილს და დასრულდეს 2021 წლის 14 აგვისტოს;

გ) გაზაფხულის სემესტრის ძირითადი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2021 წლის 16 აგვისტოდან 4 სექტემბრის ჩათვლით, ხოლო დამატებითი საგამოცდო სესია - 2021 წლის 6 სექტემბრიდან 11 სექტემბრის ჩათვლით;“

გ) დადგენილების 1[2] პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1[2]. 2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის სასწავლო პროცესი **ყველა ნაკადის სტუდენტებისათვის** წარიმართოს შემდეგი ფორმატით:

ა) 2021 წლის 19 აპრილიდან - ჰიბრიდული ფორმატით, თეორიული ნაწილი (ლექციები) - დისტანციურად, ხოლო პრაქტიკული, ლაბორატორიული და კლინიკური კომპონენტი - საუნივერსიტეტო სივრცეში და სამედიცინო ბაზებზე;

ბ) ფაკულტეტი უფლებამოსილია **დისტანციურ სასწავლო პროცესში დაუშვას მხოლოდ საქართველოში მყოფი ბსუ-ს სტუდენტები (I-VIII ნაკადებზე ჩარიცხული პირები),** მათ შორის პირები, რომლებიც საქართველოს მთავრობის დადგენილების თანახმად **აპრილში** იმყოფებიან საკარანტინე სივრცეში (**მათგან** მე-8 ნაკადზე ჩარიცხულ სტუდენტებთან ხელშეკრულებები უნდა გაფორმდეს 2021 წლის **13-14 მაისს,** საუნივერსიტეტო სივრცეში გამოცხადებისთანავე;

გ) ბსუ-ს სტუდენტები, რომლებიც **2021 წლის 13-14 მაისს ვერ გამოცხადდებიან** ფაკულტეტის დეკანის ოფისში აკადემიური რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტზე ხელმოწერის მიზნით, რაც გულისხმობს შესაბამისი

სასწავლო კურსების გავლაზე ვალდებულების აღებას, ფაკულტეტის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე დაწყებული იქნეს ადმინისტრაციული წარმოება მათთვის აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობის გამო სტუდენტის სტატუსის შეჩერების თაობაზე სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით (სტატუსი შეუჩერდეთ სწავლის საფასურის გადახდის ვალდებულების გარეშე).“.

2. ეთხოვოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მუშაობის შეხვედრაზე განიხილონ და წარუდგინონ წარმომადგენლობით საბჭოს, ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის საფასურის გადახდის წესში ცვლილებების და დამატების შეტანის შესახებ პროექტი, ფაკულტეტიდან წარმოდგენილი სტუდენტების მოთხოვნების, პანდემიის პირობებში სწავლების ფორმატიდან გამომდინარე აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლის თავისებურებების გათვალისწინებით.

3. საქართველოს მთავრობის ან/და საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა (რეკომენდაციების) გათვალისწინებით, ბსუ-ში 2020-2021 სასწავლო წლის კალენდრის ცვლილებასთან ან/და სასწავლო პროცესის სრულად ან ნაწილობრივ ელექტრონულად (დისტანციურად) წარმართვის შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტების გამოცემის საჭიროების შემთხვევაში, იგი გამოსცეს ბსუ-ს რექტორმა.

4. წინამდებარე დადგენილებით განხორციელებული ცვლილებების შესახებ შესაბამისმა ფაკულტეტმა აცნობოს პროგრამის სტუდენტებს, სასწავლო პროცესში გამოყენებული ყველა ელექტრონული სერვისის საშუალებით.

5. წინამდებარე დადგენილების საფუძველზე იურიდიულმა დეპარტამენტმა მოამზადოს კოდიფიცირებული 2020 წლის 9 სექტემბრის N06-01/59 დადგენილება, თარგმნილი იქნეს ინგლისურ ენაზე, ხოლო ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურმა განათავსოს ბსუ-ს ვებგვერდზე (,,სწავლა“-,,აკადემიური კალენდარი“ და ინგლისურენოვან ველში ,,სტუდენტის გზამკვლევში’ ახალი ჩანართის - ,,აკადემიური კალენდარი“ დამატებისათვის).

6. დადგენილება განთავსდეს ბსუ–ს ვებგვერდზე.

7. დადგენილება დაეგზავნოს ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რექტორის მოადგილეს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს.

8. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

9. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობითი დადგენილი წესით, მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**